



საქართველო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
შიდა აუდიტის სამსახური

წლიური ანგარიში დანართი №1

“ მ ო ა მ ზ ა დ ა “

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს

შიდა აუდიტის სამსახურის

უფროსი

გიორგი გელაშვილი

„-14-“ ---იანვარი--- 2019 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოციალური მომსახურების სააგენტო
შიდა აუდიტის სამსახური

2018 წლის აუდიტორული საქმიანობის წლიური ანგარიში

თბილისი, 2019

შინაარსი

1. შესავალი.....	3
2. მოკლე მიმოხილვა	3
3. განხორციელებული ღონისძიებები.....	4
3.1. საშტატო ერთეულის ანალიზი	4
3.2. შიდა აუდიტორული საქმიანობის გეგმა-შესრულების ანალიზი.....	5
3.3. დაუგეგმავი დავალებების ან/და საკითხების ან/და შიდა აუდიტების ანალიზი.....	5
3.3.1. არაგეგმიური აუდიტი.....	5
3.4. გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები.....	6
3.4.1. არაფინანსური აქტივის სააგენტოს ბალანსიდან მოხსნის მიზანშეწონილობა	6
3.4.2. მცირე საოჯახო ტიპის სახლის სასარგებლოდ თანხის არასწორად გადარიცხვის საკითხი	6
3.4.3. იურიდიული პირების მიმართ რიცხული დებიტორული დავალიანებების ანგარიშებიდან მოთხოვნების ჩამოწერის თაობაზე	9
3.5. სტრატეგიული და წლიური გეგმის შემუშავება/დამტკიცება	9
4. კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებები	11
5. წინადადებები შიდა აუდიტის სუბიექტის განვითარების შესახებ	11

1. შესავალი

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს“ (შემდგომში „სააგენტო“) დირექტორის 2009 წლის 31 დეკემბრის №01/474-ო ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს“ ცენტრალური აპარატის დებულების (დანართი №1) 62-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახური (შემდგომში „შიდა აუდიტის სამსახური“) გასული წლის საქმიანობის შესახებ ანგარიშს მომდევნო წლის იანვრის ბოლომდე წარუდგენს სააგენტოს დირექტორს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფს - ჰარმონიზაციის ცენტრს (შემდგომში „ჰარმონიზაციის ცენტრი“).

2. მოკლე მიმოხილვა

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შიდა აუდიტი არის დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებისკენ, მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისა და მისი ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ მიმართული დამოუკიდებელი, ობიექტური, მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინებული და ორგანიზებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას. შიდა აუდიტი აფასებს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემას, რისკების მართვის ეფექტიანობას და გასცემს რეკომენდაციებს მათი გაუმჯობესების მიზნით.

შიდა აუდიტის სამსახური საქმიანობას ახორციელებს „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბრის №593 დადგენილებით დამტკიცებული „შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის“, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 03 ოქტომბრის №01-14/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს“ დირექტორის 2009 წლის 31 დეკემბრის №01/474-ო ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს“ ცენტრალური აპარატის დებულების (დანართი №1), ჰარმონიზაციის

ცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაციების, შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსის, სხვა ინსტრუქციებისა და სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახურის დებულების თანახმად, შიდა აუდიტის სამსახური თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს შიდა აუდიტორულ შემოწმებას შიდა აუდიტორული შემოწმების შემდეგი სახეების გამოყენებით - სისტემური, შესაბამისობის, ეფექტიანობის, ფინანსური და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტს. ასევე ახორციელებს არაგეგმიურ შიდა აუდიტორულ შემოწმებას.

3. განხორციელებული ღონისძიებები

3.1. საშტატო ერთეულის ანალიზი

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად „საჯარო სამართლის იურიდიული პირების ჩამონათვალის და მათში შიდა აუდიტის სისტემის დანერგვისა და განვითარების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 აგვისტოს №391 დადგენილების საფუძველზე, შევიდა ცვლილებები და დამატებები „საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ“ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2018 წლის 25 იანვრის № 04-67/ო, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს“ დირექტორის 2009 წლის 31 დეკემბრის №01/474-ო ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს“ ცენტრალური აპარატის დებულების (დანართი №1) თანახმად, სააგენტოში სტრუქტურული ერთეულის სახით შეიქმნა შიდა აუდიტის სამსახური. სააგენტოს დირექტორის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის ბრძანების საფუძველზე 2018 წლის 13 ივლისიდან დანიშნულ იქნა შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი - გიორგი გელაშვილი (№04-391/კ ბრძანება), ხოლო 01 აგვისტოდან - შიდა აუდიტის სამსახურის 4 მთავარი სპეციალისტი (№04-453/კ ბრძანება). 2018 წლის 03 სექტემბრის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის №04-512/კ ბრძანებით სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახურში მიმაგრებულ იქნა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი. 2018 წლის 09 ოქტომბრის №04-598/კ ბრძანებით დანიშნულ იქნა შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის მოადგილე და 7 მთავარი სპეციალისტი, ასევე №04-602/კ ბრძანებით - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი. ამრიგად, შიდა აუდიტის სამსახურში, სამსახურის უფროსისა

და სამსახურის უფროსის მოადგილის ჩათვლით დასაქმებულთა რიცხოვნობა შეადგენს 15 (თხუთმეტი) ერთეულს, მათ შორის 13 (ცამეტი) შტატით გათვალისწინებული და 2 (ორი) შტატგარეშე თანამშრომელი.

3.2. შიდა აუდიტორული საქმიანობის გეგმა-შესრულების ანალიზი

ვინაიდან, სააგენტოს დირექტორის 2009 წლის 31 დეკემბრის №01/474-თ ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს“ ცენტრალური აპარატის დებულებაში (დანართი №1) 2018 წლის 13 ივნისს¹ შევიდა ცვლილება რომლის თანახმად, სააგენტოში სტრუქტურული ერთეულის სახით შეიქმნა შიდა აუდიტის სამსახური, ხოლო სამსახურის თანამშრომლებით დაკომპლექტება დასრულდა 2018 წლის 09 ოქტომბერს, შიდა აუდიტის სამსახურს 2018 წლის განმავლობაში არ ჰქონდა შემუშავებული სტრატეგიული და წლიური გეგმა, რომლის საფუძველზეც განახორციელებდა აუდიტორულ საქმიანობას. მას შემდეგ რაც შიდა აუდიტის სამსახური სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა 2018 წლის 16 ოქტომბრიდან დაგეგმილ იქნა არაგეგმიური აუდიტორული შემოწმება.

3.3. დაუგეგმავი დავალებების ან/და საკითხების ან/და შიდა აუდიტების ანალიზი

3.3.1. არაგეგმიური აუდიტი

„სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს“ დირექტორის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის №04-626/თ ბრძანების საფუძველზე, სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახური 2018 წლის 18 ოქტომბრიდან ახორციელებს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის მიერ 2017 წლის 01 მარტიდან 2018 წლის 01 ოქტომბრამდე „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2017-2018 წლების სახელმწიფო პროგრამების“ ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტს.

აუდიტის მასშტაბს წარმოადგენს „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში 2017 წლის 01 მარტიდან 2018 წლის 01 ოქტომბრამდე პერიოდში განხორციელებული საქმიანობა შემდეგი ქვეპროგრამების მიხედვით: დღის ცენტრების ქვეპროგრამა; კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა; მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამა; მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა; სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამა; ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის

1 - სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 13 ივნისის ბრძანება №04-358/თ.

ქვეპროგრამა; დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა; დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა.

3.4. გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები

წინამდებარე ანგარიშის ამ ნაწილში წარმოდგენილია 2018 წელს შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გამოვლენილი მნიშვნელოვანი გარემოებები და მათზე გამოთქმული მოსაზრებები:

3.4.1. არაფინანსური აქტივის სააგენტოს ბალანსიდან მოხსნის მიზანშეწონილობა

2018 წლის 13 ივლისს სააგენტოს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსმა №04-17045 წერილით, მომართა შიდა აუდიტის სამსახურს არაფინანსური აქტივის სააგენტოს ბალანსიდან მოხსნის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით მოსაზრების გამოსათქმელად - სააგენტოსა და საქართველოში არამომგებიანი კორპორაცია ქოფერათივ ჰაუზინგ ფაუნდეიშენის (CHF ინტერნეშენალი) ფილიალის მიერ 2012 წლის 12 მარტს გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებით სააგენტოს გადაეცა მოძრავი ნივთები (არამატერიალური აქტივები) ღირებულებით - 549,268.92 ლარი. აღნიშნული მოძრავი ნივთები (არამატერიალური აქტივები) მიღებულ იქნა სააგენტოს ბალანსზე გრანტის სახით, რომელიც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების საფუძველზე გადაეცა პროვაიდერ ორგანიზაციებს სარგებლობისა და მოვლა-პატრონობის ვალდებულებით. გადაცემული მოძრავი ნივთები (არამატერიალური აქტივები) სააგენტოს მიერ მოხსნილი იქნა ბალანსიდან პროვაიდერებზე 2012 წლის 15 მარტის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შიდა აუდიტის სამსახურმა 2018 წლის 21 აგვისტოს №04-18292 წერილით აცნობა სააგენტოს ეკონომიკურ დეპარტამენტს მოსაზრება, რომ მიზანშეწონილად არ მიიჩნევა სააგენტოს ბალანსიდან არაფინანსური აქტივის მოხსნას^{2,3,4,5,6}.

3.4.2. მცირე საოჯახო ტიპის სახლის სასარგებლოდ თანხის არასწორად გადარიცხვის საკითხი

სააგენტოს დირექტორის მოადგილის ბატონი ლევან გოგოძის 2018 წლის 22 აგვისტოს №04-18341 მოხსენებითი ბარათით შიდა აუდიტის სამსახურს დაევალა, სააგენტოს შიდა ქართლის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის - თეა თედელურის 2018 წლის 02 ივლისის №2746

2 - საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ მე-3 მუხლი;

3 - ბაის 17-იჯარა;

4 - საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტი;

5 - საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 23-ე მუხლის მე-18 პუნქტი;

6 - 2012 წლის 12 მარტს გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2.2 კვებუქტი.

მოხსენებით ბარათში აღწერილი გარემოებების შესწავლის შედეგებზე, სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტის 2018 წლის 17 აგვისტოს №04-18137 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი ინფორმაციის დამატებითი შესწავლა, შეფასება და გაანალიზება.

რამდენადაც შემოწმების შედეგებში საუბარია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების არამართლზომიერად ხარჯვის შემთხვევასა და სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის უფროსის (მ.წერეთელი) მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად შენიშვნის და თანამდებრობრივი სარგოს 10 %-ის დაკავების გამოყენების საკითხზე, შიდა აუდიტის სამსახურმა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელა მცირე საოჯახო ტიპის სახლის სასარგებლოდ დ. ჯეირანოვის მომსახურებისთვის გადარიცხული თანხების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საკითხის დამატებითი შესწავლა:

✓ შიდა აუდიტის სამსახურის მიერ საქმის მასალების შესწავლის შედეგად, გამოვლინდა, რომ დ. ჯეირანოვის მომსახურე ორგანიზაცია ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკის“ ხელმძღვანელი (მ. მღებრიშვილი), ამავე დროს არის რეგიონული საბჭოს წევრი, რომელიც ესწრებოდა, როგორც 2017 წლის 23 ოქტომბრის საბჭოს სხდომას, სადაც განხილულ იქნა მის ხელმძღვანელობაში არსებულ მცირე საოჯახო ტიპის სახლში დ. ჯეირანოვის მომსახურების გაგრძელების საკითხი, იმ დროს როდესაც დ. ჯეირანოვს 2017 წლის 05 ოქტომბრიდან დატოვებული ჰქონდა აღნიშნული სახლი, ასევე 2018 წლის 23 მარტის საბჭოს სხდომას, სადაც განხილულ იქნა დ. ჯეირანოვის მცირე საოჯახო ტიპის სახლიდან ამორიცხვის საკითხი. ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკის“ ხელმძღვანელის მიერ არ იქნა გათვალისწინებული⁷, საბჭოსთვის შუამდგომლობით მიემართა აცილების თაობაზე, რადგან იგი როგორც საბჭოს წევრი სამსახურებრივად დამოკიდებული იყო (დაინტერესებული) სხდომაზე განსახილველ საკითხთან.

✓ შიდა ქართლის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, რომელიც ამავე დროს არის რეგიონალური საბჭოს თავჯდომარე (დ. ბერიძე) სააგენტოს დირექტორის წინაშე არ დაუყენებია ამ წევრის (მ.მღებრიშვილი) საბჭოს შემადგენლობიდან გარიცხვის საკითხი⁸. ასევე, დ. ბერიძისთვის 2017 წლის ოქტომბერშივე ცნობილი იყო დ. ჯეირანოვის მიერ გორის მცირე საოჯახო ტიპის სახლის თვითნებურად დატოვების შესახებ,

7 - „მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების“ დებულების მე-7 მუხლის მე-14 პუნქტი;

8 - „მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების“ დებულების მე-7 მუხლის მე-14 და მე-15 პუნქტები.

მიუხედავად ამისა, თავჯდომარის უფლებამოსილების ფარგლებში, მას არ მიუმართავს საბჭოსთვის აღნიშნული საკითხის განსახილველად⁹.

✓ აუდიტის სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია, მ. წერეთლის მიმართ დისციპლინური გადაცდომის ჩადენით დამდგარი შედეგის სიმძიმიდან გამომდინარე, გამოყენებულ ყოფილიყო უფრო მსუბუქი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, რადგან მ. წერეთლის ქმედებას ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკის“ სასარგებლოდ ზედმეტად გადარიცხულ თანხებთან მიმართებაში არ ჰქონია პირდაპირი კავშირი, ვინაიდან სპეციალიზებულ დაწესებულებებს 2018 წლის 11 აპრილამდე მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამის ბიუჯეტიდან მომსახურების დაფინანსება უწყდებოდათ მხოლოდ ბენეფიციარის გაყვანის/ამორიცხვის რეგიონული საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე¹⁰.

✓ შიდა აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, დ. ჯეირანოვი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად¹¹, რომ ამორიცხულიყო 2017 წლის 16 ნოემბერს, დ. ჯეირანოვის ამორიცხვით გათავისუფლებული ადგილი ანაზღაურდებოდა დღეში 8,5 ლარით, კერძოდ 2017 წლის 16 ნოემბრიდან - 2018 წლის 28 თებერვლის ჩათვლით 892.50 ლარის ოდენობით, ხოლო 2017 წლის ოქტომბრიდან 2017 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით დ. ჯეირანოვის მომსახურების თანხა შეადგენდა 828.00 ლარს. რაც შეეხება, გორის მცირე საოჯახო ტიპის სახლისათვის ზედმეტად/არასწორად ანაზღაურებული თანხის დამატებითი ფინანსური ჯარიმის სახით სამმაგი ოდენობის დაკისრების შესახებ საკითხს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად¹², დამატებითი ფინანსური ჯარიმის დაკისრება გათვალისწინებულ უნდა ყოფილიყო 2018 წლის პირველი იანვრიდან. რაც შეეხება, წინა წლების ქვეპროგრამით გაწეული მომსახურების ფარგლებში გამოვლენილ დარღვევებს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად¹³, კონკრეტული ქვეპროგრამის ფარგლებში მოითხოვება მხოლოდ ზედმეტად/არასწორად ანაზღაურებული მომსახურების თანხის უკან დაბრუნება.

9 - „მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების“ დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი;

10 - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №52/ნ ბრძანების მე-8 მუხლის მე-8 პუნქტი;

11 - საქართველოს მთავრობის 2017 წლის 9 მარტის „სოციალური რეაბილიტაციისა და ზავზე ზრუნვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ №121 დადგენილებისა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის „სოციალური რეაბილიტაციისა და ზავზე ზრუნვის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ №601 დადგენილების №1.10 დანართის („მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამა“) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი;

12 - საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის „სოციალური რეაბილიტაციისა და ზავზე ზრუნვის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ №601 დადგენილების №1 დანართი მე-6 მუხლის პირველი პუნქტი;

13 - საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის „სოციალური რეაბილიტაციისა და ზავზე ზრუნვის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ №601 დადგენილების №1 დანართი მე-6 მუხლის მე-6 პუნქტი

3.4.3. იურიდიული პირების მიმართ რიცხული დებიტორული დავალიანებების ანგარიშებიდან მოთხოვნების ჩამოწერის თაობაზე

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესწავლის მიზნით, 2018 წლის 25 ოქტომბერს გამოთხოვილ იქნა დოკუმენტაცია¹⁴, რომელიც ეხება 2017 წლის 06 მარტს სააგენტოს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის №04-4371 წერილში აღწერილ სააგენტოს ბალანსზე დებიტორული დავალიანებების ანგარიშზე რიცხულ, იმ იურიდიული პირების მიმართ არსებული მოთხოვნების ჩამოწერის საკითხს, რომლებზეც არსებობს სასამართლო განჩინება მოვალის გაკოტრებულად გამოცხადებისა და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ, რომელთა მიმართ მოთხოვნა ჯამში შეადგინს - 299,782.22 ლარს.

შიდა აუდიტის სამსახური მიმდინარე ეტაპზე ანხორციელებს, ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სააგენტოს ეკონომიკური დეპარტამენტიდან 2018 წლის 22 ნოემბერს მოწოდებული დოკუმენტაციის (წერილი №04-25063) შესწავლას.

3.5. სტრატეგიული და წლიური გეგმის შემუშავება/დამტკიცება

შიდა აუდიტის სამსახურის სტრატეგიული და წლიური გეგმის შემუშავებისთვის მნიშვნელოვანია დეტალური ინფორმაციის მიღება დეპარტამენტში/სამმართველოში არსებული პროცესების შესახებ, რომლებიც საკვანძო როლს ასრულებენ სააგენტოს საქმიანობასა და ფუნქციონირებაში, რაც ეხმარება შიდა აუდიტის სამსახურს არსებული რისკების იდენტიფიცირებაში და ასევე, შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ სააგენტოს სტრატეგიული მიზნების მიღწევაში. შიდა აუდიტის სამსახურის მიერ შესწავლილ იქნა სააგენტოს სტრატეგიული მიზნები და ვინაიდან, სააგენტოს საქმიანობა მოიცავს მთელ რიგ პროცესებს, პროგრამებს, ფუნქციებს, სტრუქტურებს, რომლებსაც ერთობლივად წვლილი შეაქვთ სააგენტოს სტრატეგიული მიზნების მიღწევაში. შიდა აუდიტის სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა კითხვარი, რომელმაც ხელი შეუწყო იმ ობიექტების დადგენის პროცესს, სადაც მომავალში ჩატარდება აუდიტორული შემოწმებები.

შიდა აუდიტის სამსახურმა 2018 წელს მოამზადა შიდა აუდიტის სამსახურის 2019-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა და 2019 წლის წლიური გეგმა, რომლებიც დამტკიცებულ იქნა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 31 დეკემბერს №04-884/ო და №04-885/ო ბრძანებებით.

14 - 2018 წლის 25 ოქტომბრის შიდა აუდიტის სამსახურის მოხსენებითი ბარათი №04-22877.

შიდა აუდიტის სამსახურმა სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, განსაზღვრა წლიური გეგმის (დანართი №1) განხორციელებისას უპირველესად მაღალი რისკის არეების დაფარვა.

აღნიშნული მიდგომით, აუდიტის სამყაროში იდენტიფიცირებულ იქნა მაღალი რისკების მქონე აუდიტის ობიექტები, რომლებიც შემდგომში მაღალი პრიორიტეტულობით გადანაწილდა სტრატეგიულ და წლიურ გეგმებში. რაც გულისხმობს, რომ შიდა აუდიტის სამსახურმა ერთი მხრივ, პირველ რიგში დაგეგმა მაღალი რისკების დეპარტამენტების და მათ ადმინისტრირებას დაქვემდებარებული პროგრამების აუდიტი, ხოლო მეორე მხრივ, ამ დაგეგმვისას გაითვალისწინა შიდა აუდიტის სამსახურის ადამიანური, ტექნიკური და დროის რესურსი.

დანართი №1

№ პრიორიტეტი	№ ადგილი აუდიტის სამყაროში	აუდიტის ობიექტი (დეპარტამენტი/პროგრამა)	სახეადიტის სახე	აუდიტის განხორციელების პერიოდი ადამიანური რესურსი
1	3	საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტი	შესაბამისობა	იანვარი - მარტი 8 აუდიტორი
2	2	სოციალური დახმარების ადმინისტრირების დეპარტამენტი	შესაბამისობა	აპრილი - ივნისი 8 აუდიტორი
3	14	დევენილთა და ეკომიგრანტთა პროგრამების ადმინისტრირების დეპარტამენტი	შესაბამისობა	ივლისი - სექტემბერი 8 აუდიტორი
4	9	სახელმწიფო გასაცემლების დეპარტამენტი	შესაბამისობა	ოქტომბერი - დეკემბერი 8 აუდიტორი

4. კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებები

სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლებმა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით 2018 წლის განმავლობაში გაიარეს შემდეგი ტრენინგები:

ორგანიზაციის დასახელება:	ტრენინგის/ სემინარის/ სასწავლო კურსის თემა:	დაწყებისა და დასრულების თარიღი	თანამშრომლის სახელი/გვარი	დაკავებული თანამდებობა
CEF - წარჩინების ცენტრი ფინანსებში (სლოვენია, ქ. ლუბლიანა)	შიდა აუდიტის წარმოება, დაგეგმვიდან ანგარიშგებამდე	ნოემბერი	გიორგი გელაშვილი	შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი
სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი	საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურება	ოქტომბერი იანვარი	თამარ გიგოლაშვილი	შიდა აუდიტის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი	საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურება	ოქტომბერი იანვარი	ზამილი გოგვაძე	შიდა აუდიტის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი	საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურება	ოქტომბერი იანვარი	ანა კობიძე	შიდა აუდიტის სამსახურში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული
სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი	საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურება	ოქტომბერი იანვარი	ნაუმი ლომთაძე	შიდა აუდიტის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

5. წინადადებები შიდა აუდიტის სუბიექტის განვითარების შესახებ

შიდა აუდიტის სამსახური გეგმავს სამსახურის განვითარების, ეფექტური ფუნქციონირებისა და საქმიანობის სრულყოფისათვის შემდეგ ღონისძიებებსა და ცვლილებებს:

- ✓ შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ღირებულების გაზრდა სააგენტოში ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებაში და პროცედურების განხორციელებაში.

✓ მაღალი საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, შიდა აუდიტის სამსახური საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში გეგმავს აუდიტორული საქმიანობის წარმართვას შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებებით:

- აუდიტორული საქმიანობით მოიცვას ყველა ის სფერო, რომელიც საჯარო ფინანსების მართვისათვის დიდი მნიშვნელობით ან/და მაღალი რისკიანობით ხასიათდება;
- შიდა აუდიტის სამსახური მიზნად ისახავს ეტაპობრივად დანერგოს და განახორციელოს ეფექტიანობის აუდიტი თავის აუდიტორულ საქმიანობაში, ეფექტიანობის აუდიტის როლის ზრდით შიდა აუდიტის სამსახური შეძლებს საჯარო მმართველობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეკომენდაციებით ხელი შეუწყოს სახელმწიფო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობის ამაღლებას.

✓ შიდა აუდიტის სამსახური თავის საქმიანობას განახორციელებს თანამედროვე საუკეთესო გამოცდილებების დანერგვით, მათ შორის თანამედროვე ტექნოლოგიების, სამსახურის მუშაობის პროდუქტიულობის და ეფექტიანობის ასამაღლებლად.

✓ შიდა აუდიტის სამსახური შეიმუშავებს და დანერგავს აუდიტის სუბიექტსა და ობიექტებს შორის ურთიერთობის და კომუნიკაციის სტრატეგიას. აღნიშნული გულისხმობს, აუდიტის სუბიექტის მიერ ობიექტების თანამშრომლებისათვის შიდა აუდიტის სამსახურთან ურთიერთობის და საჭირო ინფორმაციის (დოკუმენტების) მიწოდების ვალდებულების კანონის შესაბამისად განმარტებას და ორივე მხარისათვის სარგებლის წარმოჩენას, რაც თავისმხრივ ხელს შეუწყობს:

- აუდიტის სუბიექტს და ობიექტებს შორის სამუშაო ინფორმაციის დროულ და ეფექტიან გაცვლას;
- აუდიტის სუბიექტს და ობიექტებს შორის სამუშაოს შეუფერხებლად განხორციელებას და კოორდინაციას.